საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/09/2026

MES 7 26 0001144536

გადაწყვეტილება

შპს უნივერსიტეტ გეომედის „საქართველო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციისმინიჭებისშესახებ

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 01 ივლისის №829742 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს უნივერსიტეტ გეომედის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლით და და 3 თვით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 14 სექტემბრის სხდომის №1190812 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 31 აგვისტოს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში (მის.: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2) ან/და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	**საექთნო საქმის ბაკალავრი**
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913 საექთნო და სამეანო საქმე
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ.თბილისი, 0114, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31/08/2026
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2027

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე